



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება
სოფელ მოხის საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *მარინა მერაბიშვილი*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ირმა ქურდაძე*

კვების დარგში ექსპერტი: *მარიამ ექვთიმიშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *კახაბერ ბერიძე*



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება
საიდენტიფიკაციო ნომერი	222729279
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	სოფელ მოხის საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ადიგენის მუნიციპალიტეტი დაბა ადიგენი თ.ერისთავის ქუჩა N22
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფ. მოხე



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	28/05/2025 MES 4 25 0000582872
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	1-2 ივლისი 2025 წელი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ	
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.	

N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ზავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	1.ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2.სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში	ქართული		60 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

მიმდინარე წლის 1 და 2 ივლისს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ვიზიტზე ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოხის საბავშვო ბაღში. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად განხორციელდა ვიზიტის პროცესი. საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში ჯგუფმა შეისწავლა ყველა საკითხი, ჩაატარა ინტერვიუ დაინტერესებულ პირებთან, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინა საბავშვო ბაღის ვიზუალური დათვალიერება. ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და მოხის საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა, ექსპერტთა ჯგუფს, საავტორიზაციო ვიზიტის საქმიანობის პერიოდში ხელი შეუწყო პროცესის განხორციელებაში და წარმოადგინეს დამატებითი საჭირო დოკუმენტაცია, ასევე უზრუნველყეს მოთხოვნილ პირების დასწრება ინტერვიუს ჩასატარებლად. ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს პროცესები, ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, რეკომენდაციების გათვალისწინება, დოკუმენტების წარმოება კანონმდებლობის შესაბამისად.

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მადიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა კურიკულუმი) (აღრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.)		
2. კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს “ადიგენის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულება“- ის დოკუმენტის სახით. მისია შემდეგნაირად ჟღერს : ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მისიაა აღზარდოთ განვითარებული, განათლებული, მომავალზე ორიენტირებული თაობა, არაძალადობრივ, განვითარებაზე ორიენტირებულ, ტოლერანტულ, უსაფრთხო, ეკომეგობრულ გარემოში ოჯახისა და თემის ჩართულობით. წარმოდგენილი მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, ასევე გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტით “ადიგენის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები“

დაწესებულების ხედვაა: ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საბავშვო ბაღები მომავალში იქნება ყოველმხრივ ხელმისაწვდომი, ინფრასტრუქტურულად მოწესრიგებული, კვალიფიციური ადამიანური რესურსებისა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების მქონე წარმატებული დაწესებულებები. დაწესებულების ღირებულებებია: გუნდური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა; საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო პროცესში აღსაზრდელთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის არსებობა; სიახლეებისა და ტექნოლოგიური ინოვაციური მიმდებლობა; გამჭვირვალობა, ღიაობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა; პოზიტიური გარემოს ფორმირება. დაწესებულების ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, დაწესებულების ღირებულება გამომდინარეობს მისიიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესი. დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი დასტურდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმით N1 (10 ოქტომბერი, 2024 წელი), ოქმის შესაბამისად შეხვედრას ესწრებოდნენ:

გაერთიანების თანამშრომლები, ადმინისტრაციული პერსონალი, საგანმანათლებლო პერსონალი და ტექნიკური პერსონალი, კრების თავმჯდომარე, და მდივანი, ასევე მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების დასტურად ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტო-მასალა. პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მონაწილეობა დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში, თუმცა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისათვის არ არის განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი და ჯგუფში შემავალი წევრები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.....

რეკომენდაცია

დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მექანიზმი ითვალისწინებს პროცესების თანმიმდევრობას : პროცესში დაინტერესებული მხარეების განსაზღვრას(სამუშაო ჯგუფის შექმნას), შემდგომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრას და საბოლოოდ შემუშავებული მისიისა, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტს, ასევე ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და შექმნას ა(ა) იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ :

1. დაწესებულება შეიმუშავებს და დაამტკიცებს "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესს", რომელშიც დეტალურად გაიწერება მათ შორის: - დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი - პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი და სხვა პროცედურები
2. დაწესებულება უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში პროცედურების თანმიმდევრობის დაცვას: - დირექტორის ბრძანებით ოფიციალურად განისაზღვრება სამუშაო ჯგუფი - სამუშაო ჯგუფში ჩართული იქნებიან ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები (გაერთიანების წარმომადგენლები, გაერთიანებაში შემავალი ბალების წარმომადგენლები; მშობელი/კანონიერი

წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭოს წევრი, თემის წარმომადგენლები და ა.შ) - სამუშაო ჯგუფისთვის განისაზღვრება კონკრეტული ამოცანები და ვადები - სამუშაო ჯგუფის შეხვედრები სათანადოდ დოკუმენტირდება.

3. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - ინკლუზიურობა - ყველა დაინტერესებული მხარის აზრის გათვალისწინება - გამჭვირვალობა - პროცესის ღიაობა და დოკუმენტირება - თანამშრომლობა - ერთობლივი მუშაობა საუკეთესო შედეგის მისაღწევად - კონსენსუსი - საერთო ხედვის ჩამოყალიბება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებული დოკუმენტის: - გაზიარებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან - საჯაროდ ხელმისაწვდომობას - პერიოდულ გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში განახლებას.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად

.....

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან რაც დასტურდება: შეხვედრის ოქმით N1 (10 ოქტომბერი, 2024 წელი), გაზიარებულია მოხის საბავშვო ბაღის სოციალურ ქსელში და საჯაროდ არის გამოკრული დაწესებულების მისაღებ სივრცეში შემდეგი სახელწოდებით: „ადიგენის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები“. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს მოთხოვნილი პროგრამის სახე და შესაბამისობაში მოიყვანოს ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც საჯაროდაა გამოკრული, ვიანიდან მათ მიერ საჯაროდ გამოკრული დოკუმენტი წინააღმდეგობაში მოდის ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტატუსის მამიებლის პროგრამის სახესთან, ხოლო დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი;
2. მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების შეხვედრების ოქმი N1 10.10. 2024 წელი
3. მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი გაზიარებულია მოხის საბავშვო ბაღის სოციალურ ქსელში: <https://www.facebook.com/share/167tC5Av6C/>
4. ვიზუალური დათვალიერება (მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი გამოკრულია მოხის საბავშვო ბაღში)
5. პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუ

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და წარმართება მეთოდოლოგიის მიხედვით, არ აქვს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმა, რომელშიც განისაზღვრება შეფასების ფორმა და პერიოდულობა, არ აქვს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების და მათი ჩართულობის გზების განსაზღვრა, თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მითითებულია სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესის შემუშავების პერიოდი 01.05.2025 წლიდან 30.04.2026 წლამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ფასდება მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ამოცანაა შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი პროცედურების მეთოდოლოგია, მნიშვნელოვანია განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები, კერძოდ: მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების/გაზიარების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების/გაზიარების/დამტკიცების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესი, სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი; პროცესის წარმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი. აუცილებელია ყველა აღწერილი პროცედურა განხორციელდეს თანმიმდევრობის წესის დაცვით განსაზღვრულ ვადებში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ (ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის N 26 ბრძანება). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, ციკლური რაც დასტურდება ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2030 წლების დამტკიცებული სტრატეგიული გეგმით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, რომელიც მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ასევე მოიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს. ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმის შესავალში აღნიშნულია, რომ ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიან პროცედურების და მეთოდოლოგიის დამტკიცებული წესის დაცვით არის შესრულებული, თუმცა სტრატეგიული დაგეგმვის დამტკიცებული წესი არ აქვთ, აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.....

რჩევა

სტრატეგიულ დოკუმენტში არასწორად არის განსაზღვრული ძლიერი მხარეები (ძლიერ მხარეს განსახორციელებელი აქტივობები არის მითითებული), სტრატეგიულ გეგმაში ამოცანის შესასრულებლად განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საშტატო განრიგში არ იმეზნება, აღნიშნულიდან გამომდინარე სტრატეგიულ გეგმაში ამოცანის შესასრულებლად პასუხისმგებელი პირის თანამდებობის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ საშტატო განრიგში თანამდებობების სახელწოდებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ :

1. დაწესებულება შეიმუშავებს და დამტკიცებს "სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას", რომელშიც დეტალურად გაიწერება: - სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები და მიზნები - დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი - სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის მეთოდები - სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა და შინაარსი - დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები - სტრატეგიული გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპები - სტრატეგიული გეგმის განახლებისა და ცვლილებების შეტანის პროცედურები
2. დაწესებულება ასევე გაითვალისწინებს წარმოდგენილ რჩევებს და უზრუნველყოფს: - სტრატეგიულ გეგმაში მითითებული პასუხისმგებელი პირების თანამდებობების შესაბამისობას დამტკიცებულ საშტატო განრიგთან.....
აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოხის საბავშვო ბაღს წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N16 ბრძანებით, მოხის საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებას, რაც თავის მხრივ ეფუძნება თვითშეფასებას. სამოქმედო გეგმის შესრულების ხანგრძლივობა გაურკვეველია, არ არის მითითებული დამტკიცების ბრძანებაში, თუმცა გეგმაში განხორციელების პერიოდი შეესაბამება 01.03.2025 დან 31.12.2025 მდე, აღნიშნული ვადები არ არის მორგებული კალენდარულ წელს/სასწავლო წელს, ასევე მოხის საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმაში აქტივობის განხორციელების ვადის დაწყება (01.03.2025 წ.) წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის დამტკიცების ძალაში შესვლის და განხორციელების თარიღს (12.03.2025წ.), ასევე წარმოდგენილ 11.03.2025 წლის N16 ბრძანებაში არ არის გაწერილი თუ რომელი ბაღის სამოქმედო გეგმაა დამტკიცებული. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.....
.....
.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც დაემთხვევა სასწავლო წელს (მაგ: სექტემბერი-აგვისტო) ან კალენდარულ წელს (მაგ: იანვარი-დეკემბერი); ასევე სამოქმედო გეგმის დამტკიცების აქტში და სამოქმედო გეგმის დოკუმენტში სრულად უნდა იყოს მითითებული საბავშვო ბაღის დასახელება; ასევე დამტკიცების ვადა წინ უნდა უსწრებდეს სამოქმედო გეგმაში გაწერილ აქტივობის განხორციელების ვადას; ასევე გრაფაში სადაც მითითებულია განმახორციელებლები, კერძოდ „ადამიანური რესურსი“-ს გრაფაში სწორედ უნდა იყოს განსაზღვრული მომუშავე პერსონალის სახელწოდება, აღნიშნულ ველში მითითებულია აღმზრდელ-პედაგოგი, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას საშტატო განრიგში არ აქვს მსგავსი პოზიცია.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ :

1. დაწესებულება შეიმუშავეს და დაამტკიცებს ახალ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც: - მკაფიოდ დაემთხვევა კალენდარულ წელს (იანვარი-დეკემბერი) - გამოირიცხავს თარიღებთან დაკავშირებულ შეუსაბამობებს - უზრუნველყოფს, რომ დამტკიცების თარიღი წინ უსწრებდეს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორციელების დაწყების ვადას
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის სათანადო გაფორმებას: - სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანებაში მკაფიოდ მიეთითება საბავშვო ბაღის სრული დასახელება (ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მოხის საბავშვო ბაღი) - სამოქმედო გეგმის დოკუმენტში ასევე სრულად იქნება მითითებული საბავშვო ბაღის დასახელება - დამტკიცების ბრძანებაში ნათლად განისაზღვრება სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდი (დაწყებისა და დასრულების თარიღები)
3. სამოქმედო გეგმის "განმახორციელებლები/ადამიანური რესურსი"-ს გრაფაში მიეთითება პერსონალის სწორი სახელწოდება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საშტატო განრიგთან, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოხის საბავშვო ბაღის წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, რომლებიც შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს:

1. ამოცანა -საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება, თავის მხრივ მოიცავს შემდეგ აქტივობებს: საგანმანათლებლო გარემოს მოწესრიგებას და აღჭურვას, საბავშვო ბაღში ფიზიკური გარემოს მოწყობას თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმის შესაბამისად, საჭირო რესურსების ჩამონათვალის შედგენას, ბაღის ეზოში ქვიშის მოედნისა და ფანჩატურის მოწყობას;
2. ამოცანა -გარე სივრცეების/ეზოს მოწყობა არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება, თავის მხრივ მოიცავს შემდეგ აქტივობას : გარე სივრცეებისთვის საჭიროებების დადგენას;
3. ამოცანა- ჯგუფის გარემოს გაუმჯობესება, ცენტრებად მოწყობა, მრავალფეროვანი გარემოს ორგანიზება, თავის მხრივ მოიცავს შემდეგ აქტივობებს : მრავალფეროვანი რესურსების შეტანას ცენტრებში, მეორადი მასალების შეგროვებას;
4. ამოცანა- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებულობის ამაღლების სკოლამდელი განათლების საკითხებში, თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ამოცანებს: მშობელთა თემატური კრებების სისტემატიზაციას, საკონსულტაციო შეხვედრების სისტემატიზაციას, მშობლებთან უკუკავშირის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას გამოკითხვის ფორმების/ მშობლის ყუთი
5. ამოცანა- ადამიანური რესურსების მომზადება/გადამზადება და შრომის მოტივაციის ამაღლება, თავის მხრივ მოიცავს: პროფესიული ტრენინგების ჩატარებას, თანამშრომელთა გადამზადებას პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით.

გაწერილი სამოქმედო გეგმის კომპონენტებიდან და შერჩეული ამოცანებიდან იკვეთება შემდეგი: ამოცანა- „სასწავლო მეთოდური დოკუმენტის კურიკულუმის შერჩევა დამტკიცება/გაზიარება“ არ არის სამოქმედო გეგმაში ჩაშლილი, ასევე არ არის დაგეგმილი აქტივობები ამ ამოცანის შესასრულებლად.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების ინდიკატორები (თვისებრივად/რაოდენობრივად) შესაბამისობაშია, ხოლო შესრულების ვადები არარეალისტურია, ვინაიდან სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი მითითებულია 01.03.2025 დან- 31.12.2025 მდე და მოხის საბავშვო ბაღში ვიზიტის პერიოდისათვის რომელიც განხორციელდა 01-02 ივლისს) ამ ეტაპისათვის მოხის საბავშვო ბაღმა ვერ წარმოადგინა დაგეგმილი შესასრულებელი აქტივობების დაწყების მტკიცებულება. სამოქმედო გეგმაში ყველა აქტივობაზე გაწერილია პასუხისმგებელი პირი, შესაბამისი ადამიანური რესურსი, თუმცა აქტივობის განხორციელებელი მატერიალური რესურსი, როგორც მითითებულია სამოქმედო გეგმაში დაფინანსების

წყარო- არის ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ბიუჯეტი, ვიზიტის დროს წარმოდგენილ ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში არ არის აქტივობების განსახორციელებლად გათვლილი რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესები, რაც თავის მხრივ გამოკვეთავს სამოქმედო გეგმის დამტკიცების, შესრულების და მონიტორინგის და შეფასების ვადებს.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ :

1. დაწესებულება შეიმუშავებს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, რომელშიც დეტალურად განისაზღვრება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესები მათ შორის სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადები (კალენდარული წელი)
2. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწერება სამოქმედო გეგმის: - დამტკიცების პროცედურა და ვადები - შესრულების მონიტორინგის მექანიზმი პროცესი და ვადები - შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და ვადები - გაუმჯობესებისა და ცვლილებების შეტანის პროცედურები
2. დაწესებულება უზრუნველყოფს არსებული სამოქმედო გეგმის გადახედვას და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისობაში მოყვანას შემუშავებულ მეთოდოლოგიასთან: - დაემატება ყველა სტრატეგიული ამოცანისთვის შესაბამისი აქტივობები, - გადაიხედება და რეალისტურად დაიგეგმება აქტივობების შესრულების ვადები - განისაზღვრება აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი დაწესებულების ბიუჯეტთან თანხვედრაში

3. დაწესებულება უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის სისტემის შესრულებას "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის" შესაბამისად: - შეიქმნება მონიტორინგის ანგარიშების ფორმები - განისაზღვრება მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები - დადგინდება მონიტორინგის პერიოდულობა - განისაზღვრება მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესი. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას წარმოდგენილი და იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპისათვის ინდიკატორის მოთხოვნა ფასდება მეტწილად დაკმაყოფილებული.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას არ აქვს გაწერილი სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების წესი, აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპისათვის არ ხორციელდება მონიტორინგი, გეგმების გადახედვა, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ამოღება და სხვ. თუმცა ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თვითშეფასებიდან და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება წლიური ანგარიშის საჯაროობას უზრუნველყოფს წლის ბოლოს და წარადგენს მერიის და საკრებულოს წინაშე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ფასდება მეტწილად დაკმაყოფილებული.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა

2. ბრძანება სტრატეგიული განვითარების შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება N27 26.12.2024წ)



3. სოფელ მოხის 1 წლიანი სტრატეგიული გეგმა

4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სოფ. მოხის საბავშვო ბაღი)

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

პროგრამა.....
.....

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

³ მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებების რეჟიმში ირკვევა, რომ ა(ა)იპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებულია - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. რასაც წინ უძღვოდა არსებული კურიკულუმების გაცნობა; კურიკულუმების შერჩევა.

ამ პროცედურების გავლის შემდეგ შეირჩა და დამტკიცდა ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ა(ა)იპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის №13 ბრძანებით, ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ ბაღებში კურიკულუმის შერჩევის ჯგუფი დამტკიცებულია.

რაც შეეხება კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესს, რაც დათარიღებულია 2025 წლის 10 თებერვლის №14 ბრძანებით, დამტკიცებულია ა(ა)იპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, სადაც წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებები: კურიკულუმის შერჩევა, კურიკულუმის გაზიარება, კურიკულუმის შეფასება და განვითარება, კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება.

ადმინისტრაციისა და აღმზრდელების განმარტებით, ამ ეტაპზე ბაღში არ შემუშავებულა მოხეს ადგილობრივ თემსა და აღსაზრდელების საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული საბავშვო ბაღის ინდივიდუალური კურიკულუმი, თუმცა პირველადი ავტორიზაციის მოცემულობის გათვალისწინებით, ეს არ არის სავალდებულო მოთხოვნა.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია ადგილობრივი თემისა და საბავშვო ბაღის თავისებურებების გათვალისწინებით, მოხდეს ისეთი კურიკულუმების შემუშავება, რაც მორგებული იქნება მოხეს საბავშვო ბაღის საჭიროებებს, სრულად დააკმაყოფილებს ამ დაწესებულების აღსაზრდელთა და მათი მშობელთა ინტერესებს.

სასურველია კურიკულუმის შემუშავებაში მეტი აქტიურობით იყოს ჩართული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მეთოდისტი, უფრო ხშირი პერიოდულობით ახორციელებდეს ადგილზე/სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ვიზიტებს და აქტიურად ერთვებოდეს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის პროცესში, ახდენდეს დაკვირვებას.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუებთან გასაუბრებებით გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ ადრეული განათლების კურიკულუმში „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამაში „თამაში“ კურიკულუმებში მოცემულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო პროცესის შეფასება, რაც ემყარება: საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვზე დაკვირვების შედეგების, ბავშვების პორტფოლიოების ანალიზებს, პერსონალის თვითრეფლექსიას, მშობლების უკუკავშირს, განხორციელებული აქტივობების ანალიზს; გასაუბრების პროცესში აღმზრდელებმა ისაუბრეს პორტფოლიოების ანალიზზე, სხვადასხვა ტიპის აქტივობებზე, თუ როგორ შეძლებენ გასვლას სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებზე, ასევე როგორ დაგეგმავენ საკუთარ თვითრეფლექსიებზე და განვითარებაზე ორიენტირებულ დაგეგმილ აქტივობებს, რისთვისაც გამოიყენებენ მშობლების კითხვარებისგან მიღებულ უკუკავშირს და სხვა

ასევე გასაუბრების რეჟიმში გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მწირია სააღმზრდელო გეგმებში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობების/თამაშებისთვის გამოყოფილი დროის განსაზღვრა, შესაბამისად, მათი თქმით, ისინი ტრანზიციების ანალიზს დაუთმობენ დიდ ყურადღებას. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა: სასურველია საგანმანათლებლო პროცესის შესაფასებლად ინსტიტუციაში აქტიურად ხდებოდეს სააღმზრდელო გეგმებში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობების/თამაშებისთვის გამოყოფილი დროის განსაზღვრა, ტრანზიციების ანალიზი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი ორიენტირებულია ბავშვების მონაწილეობაზე მრავალფეროვან აქტივობებში - თამაშის მეშვეობით, ასევე სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებაზე.

დაწესებულებაში დასაქმებული აღმზრდელების თქმით, საბავშვო ბაღში ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტით განსაზღვრული/ასაკობრივად შესაბამისი შედეგების მიღწევისათვის მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა თემატური მიმართულებებით - ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება - სამი მიმართულებაში (ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება).

როგორც ინტერვიუებმა აღნიშნეს, კურიკულუმის მიზნების შესაბამისად, თამაშის მეშვეობით ხორციელდება აღნიშნულ ცენტრებში ბავშვებში ამ სფეროებისა და მიმართულებების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარება.

ინტერვიუებში აღინიშნა, რომ მაგალითად, ხელოვნების, წიგნიერების, მეცნიერების მიმართულებით თამაში ასევე აერთიანებს კვლევის ელემენტებს, აღსაზრდელი არის ამ პროცესის აქტიური მონაწილე.

მაგალითად ერთ-ერთი აღმზრდელის თქმით, მას აქვს საინტერესოდ დაგეგმილი მცენარის ზრდის პროცესზე დაკვირვება.

მეცნიერების ცენტრში 3-4 წლიანები აღმზრდელის ფასილიტაციით დარგავენ ქოთანში ყაბაღს და ერთი თვის განმავლობაში მოახდენენ მის ზრდის პროცესზე დაკვირვებას, დროგამოშვებით მორწყავენ და დააკვირდებიან მცენარის ზრდის პროცესს, მოახდენენ ჩანაწერების გაკეთებას. კვლევის შედეგებს წარმოადგენენ დიაგრამის -ჯგუფური პროექტის სახით.

როგორც ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, აღმზრდელების შეფასებით, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი ამ დროს ბავშვისთვის საინტერესო იქნება, ყველა აქტივობა აიგება ბავშვის ინტერესების შესაბამისად და განხორციელდება მისი აქტიური მონაწილეობით. რასაც ადასტურებს აღმზრდელთა მიერ წარმოდგენილი ყოველდღიური/კვირის გეგმების აქტივობები - აგებული კურიკულუმის მიზნების შესაბამისად.სადაც გათვალისწინებულია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული მითითებები.

,შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გასაუბრებათა სერიაში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია ოჯახთან თანამშრომლობის აქტივობები. აღმზრდელების განმარტებით, მშობლები ავსებენ გამოკითხვის კითხვარებს, როგორც წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს, შემდეგ მუშავდება მათ მიერ მიღებული ინფორმაცია და გაწეული ანალიზის საფუძველზე - მშობლებიდან წამოსული სურვილებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების განხორციელება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მშობლების ჩართულობა ვრცელდება ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და სასწავლო გარემოს ორგანიზების მიმართულებითაც. პერიოდულად ჩატარდება მშობელთა კრებებიც, სადაც განიხილება აღსაზრდელთა განვითარება და შეფასება, სამომავლო გეგმები მშობლების სურვილებისა და აღსაზრდელთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელების განმარტებითა და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ასევე აღსაზრდელების პორტფოლიოების დათვალიერებისას აღმზრდელები საუბრობენ აღსაზრდელთა ნამუშევრებზე, სადაც იკვეთება აღსაზრდელების ინტერესების შესაბამისად შესასრულებელი ნამუშევრები.

აღმზრდელების განმარტებით, აღსაზრდელები მოახდენენ საგნების დახარისხებას სხვადასხვა ნიშნის, ზომის, ფერის, ფორმის, რაოდენობის მიხედვით, რაც შეუწყობს ხელს აღსაზრდელებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია აქტივობის შესრულების პროცესში მიზნის ფოკუსის მკაფიოდ დასახვა და მიზნის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობის შესრულება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და აღმზრდელების განმარტებით, აღსაზრდელებს მიეწოდებათ ისეთი აქტივობები, რაც მათში სოციალურ - ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობასაც უწყობს ხელს.

მაგალითად, როლური თამაშები, წყვილებში, ჯგუფებში მუშაობა, ცენტრებში მუშაობა, და სხვა.....

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, სკოლამდელი აღზრდის ინსტიტუციაში არსებული მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები ასახული არ არის საკომუნიკაციო გეგმაში. მათი წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საკომუნიკაციო გეგმის შემუშავებას ინსტიტუცია მაისი-სექტემბერში გეგმავს

ინტერვიუებში ასევე გამოიკვეთა, რომ ბავშვის განვითარების თავისებურებებზე, ასაკობრივ მახასიათებლებსა და სხვა მიდგომებზე მსჯელობა გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობს პერსონალთან, ერთობლივი მსჯელობით, აზრთა შეჯერებით ხორციელდება გარკვეული ცვლილებების შეტანა კურიკულუმში, საჭიროების შემთხვევაში, გაზიარება პერსონალთან, ასევე მშობლებთან.

მშობლებთან ეწყობა მშობელთა კრებები, სადაც მათ მიეწოდებათ ზოგადი ინფორმაცია ბავშვის განვითარების ეტაპების შესახებ. მშობლებს ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ როგორ ვითარდებიან და სწავლობენ ბავშვები ადრეულ ასაკში.

ინტერვიუების რეჟიმში ასევე აღინიშნა, რომ ცალკეული აღსაზრდელის პირადი ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად სხვადასხვა ფორმებით, სატელეფონო ზარებით, სოციალური ქსელებით, და სხვა.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა მეტ-წილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები ოპერატიულად აისახოს საკომუნიკაციო გეგმაში.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.

2. ა(ა)იპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის №13

ბრძანება, ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ ბაღებში კურიკულუმის შერჩევის ჯგუფის დამტკიცება

3. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესი, ა(ა)იპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის №14 ბრძანება,
4. განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით. გასაუბრებათა სერიით გამოიკვეთა, რომ ააიპ.ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის შესახებ 2025 წლის ბაღის დირექტორის # 5 ბრძანებით გამოცემულია ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის შექმნა და განხორციელება.

ასევე ინსტიტუციას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების ხუთწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რადგან წარმოდგენილი კურიკულუმი არის ზოგადი ხასიათის, მასში არ არის კონკრეტულად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას აქტივობების პერიოდულობა და ხანგრძლივობა.

თუმცა რადგან ინსტიტუცია ამ ეპაზე გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, შესაძლებელია ვერ მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობასა და ხანგრძლივობასთან.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ამ ეტაპზე ვერ მოხდება - კურიკულუმით განსაზღვრული პერიოდულობით.

აღმზრდელების განმარტებით, ხორციელდება გარკვეული აქტივობები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შესაბამისად, იწერება დღის გეგმები, კვირის გეგმა, და აღსაზრდელები მიყვებიან ამ აქტივობებს.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა
 დაკმაყოფილებულია.....
 რეკომენდაცია

რჩევა, სასურველია ინსტიტუციაზე მორგებული კურიკულუმის შექმნის შემდეგ საგანმანათლებლო პროცესი დაიგეგმოს ზუსტად კურიკულუმით განსაზღვრული პერიოდულობითა და ხანგრძლივობით, რაც უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების მკაცრად გაწერას კურიკულუმში.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტაციის ანალიზითა და ინტერვიუთა სერიით იკვეთება, რომ კურიკულუმის შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ერთვება მეთოდისტი, აღმზრდელი, მუსიკის მასწავლებელი-წელიწადში ორჯერ მაინც შეხვედრის პერიოდულობით.

პირველი შეხედრა იმართება სასწავლო წლის დაწყებისთანავე, ხდება შეხვედრა და დეტალებზე მუშაობა, შემდეგ ეტაპობრივად, საჭიროების შემთხვევაში იმართება შეხვედრები -სხვადასხვა საკითხების დამუშავებისათვის.

ბალის გაერთიანების წარმომადგენლის - ინკლუზიის სპეციალისტის თქმით, გარკვეული საკითხის (ინკლუზიის მიმართულებით) წამოჭრის შემდეგ მასთან კომუნიკაციის შემდეგ ის მიდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასი და ახდენს აღსაზრდელზე დაკვირვებას.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინტერვიუთა სერიაში იკვეთება, რომ აღმზრდელის მიერ წარმოდგენილ ყოველდღიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილია ისეთი აქტივობები, რაც ითვალისწინებს აღსაზრდელთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ ინტერესებს.

მაგალითად, ერთი დღის გეგმა: თემა-ტრანსპორტი, აქტივობები: ტრანსპორტის სახეების გაცნობა, პლაკატების ან სხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით, შუქნიშნების გამოყენება, ქუჩაში მოძრაობის წესები, რაც გაკეთდება დარბაზში, სიმულაციურად,

ასევე აღმზრდელის განმარტებით, აღსაზრდელებს კურიკულუმის შესაბამისად, შეეთავაზებათ მეორე თემა-ექიმთან ვიზიტი და სიმულაციური თამაში, ბავშვები ამოირჩევენ მათთვის სასურველ თემას და წარიმართება მუშაობა მათი ინტერესების გათვალისწინებით.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....
რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ბაღის გაერთიანების წარმომადგენელთან, ინკლუზიის სპეციალისტთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ რომ ინსტიტუციაში არსებობს მექანიზმი, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღსაზრდელთან მუშაობისათვის გამოიყენებენ ინდივიდუალურ გეგმას, მოახდენენ კურიკულუმის ადაპტირებას აღსაზრდელთა საჭიროების შესაბამისად.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია ნიმუში ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შესახებ, სადაც არის ბავშვის შესახებ ინფორმაცია, სახელი, გვარი, მშობელი/მეურვე, სპეციალისტი, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფორმა 100-ის ჩანაწერი, მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, ბაღის აქტივობებში ჩართულობა, ფუნქციური მოკლევადიანი, გრძელვადიანი მიზანი-საჭირო რესურსები, ადაპტაციები, განხორციელების სტრატეგიები.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის თანამშრომლების განმარტებით, საგანმანათლებლო პროცესში ტრანზიცია ცენტრიდან ცენტრში განხორციელდება თამაშის ელემენტებით, აღსაზრდელის სურვილის შემთხვევაში მას აქვს ცენტრიდან ცენტრში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა.

ამ დროს აღმზრდელი გამოვა ფასილიტატორის როლში. აღსაზრდელების განწყობების ცვლილებების შესაბამისად, მოხდება ცენტრების ლოკაციის ცვლა.

ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესში აღმზრდელების განმარტებით, აღსაზრდელებს გაატანენ მათ პორტფოლიოებს. სკოლის გაცნობის მიზნით, აღსაზრდელებს მიიყვანენ სკოლაში და მოახდენენ მათთვის სკოლის გარემოს გაცნობას.

ამ ეტაპზე მოხეს სკოლაში შესასვლელად ემზადება შვიდი აღსაზრდელი.



შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინტერვიუების სერიით გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაღის თანამშრომლების თქმით, „მაქსიმალურად შეეცდებიან ბავშვები ჩაერთონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად - სხვადასხვა ტიპის თამაშში, აღმზრდელის ყოველდღიური გეგმის შესაბამისად, მაგალითად, თემის-შინაური და გარეული ცხოველები, აღსაზრდელები მოახდენენ დიფერენციაციას შინაურ და გარეულ ცხოველებს შორის, დაახასიათებენ, ისაუბრებენ მათ სასარგებლო თვისებებზე. აქტიური იქნება როლური/სიმულაციური თამაშებიც, ისეთი აქტივობებიც, როცა აღსაზრდელები ააწყობენ მძივებს, წვრილი მოტორიკის გასავითრებლად და სხვა“...

აქტიური იქნება აქტივობები შენობის გარეთაც..

ეზოს გარეთა სივრცეში ბავშვები ჩერთვებიან გროვებით თამაშში და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, გასაუბრებათა სერიით ჩანს, რომ ბაღის გაერთიანების ადმინისტრაცია, ბაღის აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ რადგან კურიკულუმის მიზანი ბავშვის ჰოლისტური განვითარებაა, შესაბამისად საბავშვო ბაღში არსებულ ცენტრებში წარმოდგენილია ამ ცენტრების ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა ტიპის რესურსები, მეორადი მასალა, იმ გათვლით, რომ არსებული სათამაშო თუ სხვადასხვა ნივთი მიმართულია აღსაზრდელის კონკრეტული უნარის განვითარებისათვის.

ასევე აღმზრდელების თქმით, ზოგიერთ აქტივობაში შესაძლებელია მოხდეს გარკვეული შეცდომების დაშვებაც აღმზრდელთა მხრიდან, იმისთვის, რომ ბავშვებმა შეუძლონ დამოუკიდებლად იპოვონ და გამოასწორონ შეცდომები, როდესაც რაღაც არ გამოსდით.

თუმცა დაწესებულებას საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით წარმოდგენილი არ აქვს.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

.....
.....
რეკომენდაცია

დაწესებულებამ შექმნას და გაწეროს დოკუმენტურად საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი.

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მოხეს საბავშვო ბაღის არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი".

მათი განცხადებით, ავტორიზაციის განაცხადის ატვირთვისას მოხდა მექანიკური შეცდომა და დაწესებულებამ გამოაგზავნა სხვა დოკუმენტი, შესაბამისად, დასწესებულება იზიარებს არსებული დოკუმენტის არსებობის საჭიროებას და იღებს ვალდებულებას - 30.10.2025-30.10.2026 ვადაში მოახდინოს "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი" დოკუმენტის წარმოდგენა.

შესაბამისად, ინდიკატორი ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად. და ინდიკატორის მოთხოვნა - „არ შეესაბამება“ შეიცვალოს „მეტ-წილით“.

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებებით იკვეთება, რომ საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალის განსაზღვრაში მონაწილეობას იღებს ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი, რადგან ისინი უძღვებიან საგანმანათლებლო პროცესს, რომლებიც მაქსიმალურად ითვალისწინებენ აღსაზრდელების ინტერესებს და საჭიროებებს.

აღინიშნა, რომ ბაღის მენეჯერი საგანმანათლებლო რესურსების მოთხოვნაში - ბაღების გაერთიანების მიმართ მინიმალური ჩამონათვალის შესაძენად, 16.01.2025 წლის მონაცემებით, ახდენს გარკვეულ გათვლებს. რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა გაამრავალფეროვნოს თავისი საგანმანათლებლო რესურსების სახეობები, დაამატოს სხვადასხვა რაოდენობის, რესურსი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაღის მიერ მოწოდებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალიდან ჩანს, რომ მოხეს ბაღში საგანმანათლებლო რესურსების გაანგარიშებისას გამოყენებულია ასეთი მიდგომა - 2 რესურსი ერთ - ჯგუფზე.

მნმნიშვნელოვანია იმის აღინიშნაც, რომ ბაღის მესვეურთა თქმით, საგანმანათლებლო რესურსის მიწოდება ინსტიტუციაში უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესია.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ბაღის გაერთიანებამ ბრძანებით განსაზღვროს კურიკულუმის შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ბრძანებით განსაზღვრავს კურიკულუმის შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალს - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.,

შესაბამისად.-დაწესებულება 30.10.2025 - 30.10.2026 ვადაში მოახდენს კურიკულუმის შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრას - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

შესაბამისად, ინდიკატორი ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად.და ინდიკატორის მოთხოვნა - „არ შეესაბამება“ შეიცვალოს „მეტ-წილით“.....

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღის დათვალიერებისას იკვეთება, რომ ფიზიკური გარემო როგორც რესურსი, ინსტიტუციაში ისეა მოწყობილი, რომ ეხმარება აღსაზრდელებს ხელმისაწვდომი კურიკულუმის მიზნების მიღწევაში.

ფიზიკური გარემოს შეფასებისას - როგორც ჯგუფის ოთახის, ასევე ეზოს სივრცეების მოწყობა და გამოყენება აღმზრდელების თქმით, ბავშვებზე დაკვირვებისა და ფიზიკური გარემოს შეფასების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ისინი აკვირდებიან ბავშვის ურთიერთობას გარემოსთან - თუ რამდენად შეუძლიათ ბავშვებს თავად აირჩიონ და თავისუფლად გამოიყენონ ჯგუფსა და ეზოში არსებული რესურსი, არის თუ არა რესურსი საკმარისი ყველა ბავშვისთვის, იწვევს თუ არა გარემო ბავშვებში ახალი ინტერესების გაჩენას, და იძლევა თუ არა მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებას.....

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განმარტებით, საბავშვო ბაღში შიდა და გარე სივრცეების შეფასებისას აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ეს სივრცეები აღსაზრდელებისათვის და რამდენად შესაბამისია განსახორციელებელ კურიკულუმთან საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება, თუმცა, მოხეს ბაღში ინდივიდუალური კურიკულუმის არარსებობის გამო, აღმზრდელების თქმით, ამას გააკეთებენ სამომავლოდ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვებისა და პერსონალის თვითრეფლექსიის საფუძველზე.

პერსონალის განმარტებით, ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის ისინი შექმნიან შეფასების ინსტრუმენტს, ცხრილს, სადაც წარმოდგენილი იქნება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შესაბამისი ფიზიკური გარემოს მახასიათებლები, მაგალითად, ბავშვების ასაკის შესაბამისი რესურსის ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება.

შესაბამისად,

ინდიკატორის

მოთხოვნა

დაკმაყოფილებულია.....

რეკომენდაცია

რჩევა: სასურველია ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის შეიქმნას შეფასების ინსტრუმენტი, საბავშვო ბაღის ინდივიდუალური კურიკულუმის შემუშავების შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბალის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ოთახებში ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე განმარტოების შესაძლებლობა.

არის სხვადასხვა მიმართულების ცენტრები, აღჭურვილი სხვადასხვა ტიპის რესურსით. ასევე აღსაზრდელს აქვს ცენტრებში გადაადგილების და აქტივობების შესრულებისას თავისუფლად ცვლილების შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში.

შესაბამისად	ინდიკატორის	მოთხოვნა
დაკმაყოფილებულია.....		

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა:

გასაუბრებათა სერიაში გამოიკვეთა, რომ აღმზრდელები ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის გამოიყენებენ ჩეკლისიტებს, პორტფოლიოების შეფასებას, ასევე ბავშვების ნამუშევრების და მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს - საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. ამისთვის მათ აქვთ სტანდარტიდან ამოღებული შეფასების ფორმები. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია.

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განმარტებით, ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერების გაკეთება/შესწავლა და ანალიზი, მის პროგრესზე დაკვირვება/შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების გამოვლენას - მისი განვითარების ყველა ეტაპზე - ყველა სფეროში.

აღმზრდელების თქმით, ისინი დაკვირვებიან აღსაზრდელებს და მოახდენენ ჩეკლისიტების შევსებას, მოახდენენ ყოველდღიურ დაკვირვებას. აღმზრდელების თქმით დაკვირვებისას, სტანდარტის შესაბამისად, აღსაზრდელებზე დაკვირვებით შეაფასებენ, რა გამოსდით კარგად, რა უჭირთ, რითაც მოხდება აღსაზრდელის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შემდეგი აქტივობების გაწერა თითოეული აღსაზრდელისათვის - მათი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად..

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელების შეფასებით, მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებულმა მიგნებებმა და რეკომენდაციებმა შეიძლება გამოიწვიოს კურიკულუმის კონკრეტული კომპონენტის ან მთლიანად კურიკულუმის ძირეული ცვლილება, რაც საბოლოო ჯამში კურიკულუმის განვითარებასა და მისი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს., თუმცა ამ ეტაპზე რადგან ბაღს არ აქვს ინდივიდუალური კურიკულუმი, ასეთი მიდგომა ჯერ არ განხორციელებულა.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განმარტებით, იმისათვის, რომ მშობლებს ესმოდათ თამაშის მნიშვნელობა, აღმზრდელები იყენებენ ისეთ საკონტაქტო საშუალებებს, როგორიცაა საინფორმაციო დაფა, სატელეფონო ზარები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და ჯგუფები, ბაღის ვებ-გვერდი, სადაც მოცემულია, თუ რა ღონისძიებები იგეგმება მათთვის წლის განმავლობაში., თუმცა ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობის კონკრეტული მექანიზმი ბაღს არ გააჩნია, ანუ არ აქვთ შემუშავებული ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობის კონკრეტული ინდიკატორები.

ბაღში ვიზიტის შემდეგ აღმზრდელები აცნობენ მშობლებს დღის განრიგს, კვების რაციონს, ბავშვის შეფასების მეთოდებს. რისთვისაც იწვევენ მშობელთა კრებებს, იყენებენ სოციალურ ქსელებს, აწვდიან ინფორმაციას ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ.

ავსებინებენ მშობლებს კითხვარს - ბაღში მიმდინარე პროცესების შესახებ, იღებენ მათ შეფასებებს. ინდივიდუალური შეხვედრებისას მშობლის საათის ფორმატში კი ინდივიდუალურად მაწვდიან ინფორმაციას შვილების შესაძლებლობების შესახებ სხვა საკითხებს.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ გაწეროს აქტივობები, სადაც ბავშვის შეფასების პროცესში დაკონკრეტდება ოჯახის ჩართულობა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

წარმოდგენილი პოზიციის შესაბამისად, მოხეს ბაღში მიიჩნევენ, რომ დაწესებულება სრულყოფს "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმს", კერძოდ, "ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები"-ს ნაწილს, ასევე შეიმუშავებს ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმას" საკომუნიკაციო გეგმაში დააკონკრეტებს მშობლებისთვის ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების აქტივობებს

1. დაწესებულება შეიმუშავებს და დანერგავს რეგულარული შეხვედრების კალენდარს, როგორ ინდივიდუალურად ყველა მშობელთან, ასევე ჯგუფურად. 2. აღმზრდელ-პედაგოგები ინდივიდუალურ შეხვედრებზე მშობლებს მიაწვდიან ბავშვის განვითარების, მიღწერვის და

გეგმების შესახებ ინფორმაციას. გაუზიარებელ ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოს, საშუალებას მისცემენ მშობლებს გააზიარონ საკუთარი მოსაზრებები ბავშვის განვითარების და თავისებურებების შესახებ. 3. ჯგუფურ შეხვედრებზე კი მშობლებს/ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებს გააცნობენ ზოგადად ბავშვის განვითარების სფეროების და თავისებურებების შესახებ ინფორმაციას, ასაკობრივი თავისებურებებზე და პედაგოგიურ მიდგომებზე. 4 დანერგავს მშობლის მიერ ინფორმაციის მოწოდების ფორმებსა და მათი ანალიზის მექანიზმებს 30.10.2025- 30.10.2026 ვადაში .

შესაბამისად, ინდიკატორი ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად. და ინდიკატორის მოთხოვნა - „არ შეესაბამება“ შეიცვალოს „მეტ-წილით“.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2024
2. მშობლის კითხვარი

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა



1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ რადგან ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს ინდივიდუალური კურიკულუმი, თუმცა აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

მათი თქმით, მოხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისაგან, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია, შესაბამისად ინდიკატორის მეტ-წილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაკონკრეტდეს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის აქტივობები.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასუბრების სერიით იკვეთება, რომ ამ ეტაპზე შეფასების შედეგების შეფასება ფრაგმენტული ხასიათისაა, თუმცა პერსონალის თქმით, არსებობს მზაობა შეფასების შედეგების ანალიზისა და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში გარკვეული ცვლილებების შეტანის თაობაზე, მას შემდეგ რაც საბავშვო ბაღს ექნება საკუთარ საჭიროებებზე მორგებული კურიკულუმი., შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თვითშეფასების კითხვარი: მხარდამჭერი გარემო სოციალური და ემოციური კომპეტენციის ხელშეწყობისათვის
2. საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი
3. პერსონალის თვითრეფლექსია
4. ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა (ფორმა)

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინსტიტუციის წარმომადგენლების თქმით, მშობლებისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას და როგორ ისწავლიან მათი შვილები ბაღში. შესაბამისად, დაწესებულება მათ აცნობს კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულ ინფორმაციას - მოკლე და ადვილად აღსაქმელი ფორმით.

ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს იმ კომპეტენციების აღწერას, რასაც ბავშვი ბაღში ყოფნის შედეგად განივითარებს. ბაღში მშობლის ინფორმირებას ახდენენ, იმაზე, თუ როგორ არის საგანმანათლებლო პროცესი მოწყობილი, როგორია ფიზიკური გარემო და რა ტიპის რესურსი გამოიყენება, რა დროს ატარებენ ბავშვები შენობაში და გარეთ, რა საქმიანობებზე არის ეს დრო გადანაწილებული, რა მიდგომების გამოყენებით მოხდება ბავშვების ქცევის მართვა. ინფორმაციის მიწოდება ხდება, როგორც ინდივიდუალური, ასევე მშობელთა კრებების ფორმატში. მშობელთა კრებაზე ასევე ხდება მშობელთა კომიტეტის წევრების არჩევა(პირველ კრებაზე)..... დაწესებულებას აქვს შესაბამისობის გეგმა კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები ასახული არ არის საკომუნიკაციო გეგმაში, საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების თარიღად ინსტიტუცია მაისი-სექტემბერს აღნიშნავს. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა მეტ-წილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში დააკონკრეტოს აქტივობები ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ააიპ...ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მყოფ ბაღებში ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის მექანიზმის შემუშავების მიზნით 2025 წლის 10 მარტის ააიპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის #15 ბრძანებით გამოცემული და დამტკიცებულია კომუნიკაციის გეგმის მექანიზმის დოკუმენტი, როგორც ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის საშუალება, ბრძანებაში ასევე აღნიშნულია, რომ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიქმნება საკომუნიკაციო გეგმა.

ბაღის მესვეურთა განმარტებით, მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში მნიშვნელოვანია. ამ მიზნით მშობლებს გამოყოფილი აქვთ ერთი დღე კვირაში, სადაც მშობელს შეუძლია დაესწროს ბაღში თავისი შვილის სააღმზრდელო პროცესს, მიიღოს მონაწილეობა მისთვის საინტერესო აქტივობაში, შეიტანოს თავისი ინიციატივები, რაც ახალისებს მშობლის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში განსახორციელებულ ღონისძიებებში ჩასართავად. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა მეტ-წილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ კომუნიკაციის გეგმის მექანიზმის დოკუმენტზე, როგორც ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის საშუალებაზე დაყრდნობით შექმნას საკომუნიკაციო გეგმა-კონკრეტული აქტივობებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ ბაღის ინსტიტუციის წარმომადგენლები მშობლებთან ურთიერთობაში იყენებს ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, შემაჯამებელი ღონისძიებებს, აღმზრდელის ვიზიტს სახლში და სხვა, ამასთან, ინსტიტუციის წარმომადგენლები მშობლების ინფორმირებას ახდენენ იმაზე, თუ რა ტიპის ჩართულობას ელის მათგან დაწესებულება: უწყვეტად ხორციელდება ინფორმაციის მოწოდება ბავშვის შესახებ, მეორადი მასალის შეგროვება, ვიზიტი ჯგუფში და კონკრეტული აქტივობის განხორციელება, საკონსულტაციო საბჭოში გაწევრიანება. ასევე, მშობლების ინფორმირება იმაზე, მათი შვილებისათვის თუ რამდენად ემოციურად უსაფრთხო გარემოა შექმნილი. ააიპ...ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მყოფ ბავშვებში ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის მექანიზმის შემუშავების მიზნით 2025 წლის 10 მარტის ააიპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის #15 ბრძანებით გამოცემული და დამტკიცებულია კომუნიკაციის გეგმის მექანიზმის დოკუმენტი, როგორც ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის საშუალება, ბრძანებაში ასევე აღნიშნულია, რომ ამ

დოკუმენტზე დაყრდნობით შეიქმნება საკომუნიკაციო გეგმა. თუმცა ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის საშუალებები ამ ეტაპზე არ აქვთ გაწერილი საკომუნიკაციო გეგმაში.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა მეტ-წილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში დეტალურად გაწეროს ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის მეთოდები და აქტივობები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბავშვო ბაღის მსოფელთა კრების ოქმი. 21.10.24

2. ბაღის ვებ.გვერდი

3. მშობლის კითხვარი

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐



3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის ინსტიტუციის წარმომადგენლების განმარტებით, ბაღის მესვეურები მშობლებთან ურთიერთობისას იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს, რაც გულისხმობს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, უზრუნველყოფს მშობლების ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების მიმართულებით ცნობიერების ამაღლება, თუმცა ეს აქტივობები არ არის გაწერილი დოკუმენტურად.

ასევე ბაღის გაერთიანებას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც დანიშნულია ააიპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის #22 ბრძანებით.

ოფიცრის უფლება-მოვალეობების ფარგლებში დაცულია აღსაზრდელების პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისობის გეგმაში 3.1.ძალზედ ზოგადად წარმოდგენილი, საიდანაც სტანდარტის დაკმაყოფილება არ იკითხება.

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ მშობლებისათვის ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისათვის საჭირო აქტივობები გაწეროს დოკუმენტურად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის მიხედვით „დაწესებულება შეიმუშავებს და დოკუმენტურად გაწერს მშობელთა ცნობიერების ამაღლებისაქტივობებს, რომელიც მოიცავს: - ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების მიმართულებით მშობელთა ცნობიერების ამაღლებას ღონისძიებებს (ტრენინგები, სემინარები, შეხვედრები) - ბავშვთა უფლებების შესახებ მშობელთა ინფორმირების მექანიზმებს, - თემატური მშობელთა კრებებს (ასაკობრივი თავისებურებები, განვითარების ეტაპები, ბავშვთა უფლებები) - ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრებს - მშობელთა ჩართულობის აქტივობებს სასწავლო პროცესში - მშობელთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს (შეხვედრები, ტრენინგები) 2. თითოეული აქტივობისთვის შემუშავდება: - დეტალური გეგმა და განრიგი - დოკუმენტირების წესი (ოქმები, ფოტო/ვიდეო მასალა, დასწრების ფურცლები) 3. დაწესებულება უზრუნველყოფს ცნობიერების ამაღლების აქტივობების ინტეგრირებას სამოქმედო გეგმაში და გაითვალისწინებს შესაბამის რესურსებს: - ადამიანურ რესურსს (პასუხისმგებელი პირები) - მატერიალურ რესურსს (საინფორმაციო მასალების მომზადება, ტექნიკური უზრუნველყოფა) - ფინანსურ რესურსს (საჭიროების შემთხვევაში)“ 30.10.2025- 30.10.2026 ვადაში.

შესაბამისად, ინდიკატორი ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად და ინდიკატორის მოთხოვნა - „არ შეესაბამება“ შეიცვალოს „მეტ-წილით“.....
.....
.....

2.მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის აღმზრდელების თქმით, ბაღის მესვეურები მშობლებთან ურთიერთობისას პერიოდულად, ინდივიდუალურ შეხვედრების ფორმატში მიაწვდიან მათ ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას, ასევე სხვადასხვა ტიპის სირთულეებს(არსებობის შემთხვევაში), და თანამშრომლობის ფორმატში შეეცდებიან ბავშვის განვითარებაში არსებული სირთულეების დაძლევის. დაწესებულებას აქვს შესაბამისობის გეგმა, თუმცა დასაკონკრეტებელია განსახორციელებელი აქტივობები.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში დააკონკრეტოს მშობლებს ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ მისაწოდებელი ინფორმაციის აქტივობები.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

მოხეს საბავშვო ბაღის წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის მიხედვით „დაწესებულება შეიმუშავებს“ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმს და საკომუნიკაციო გეგმას" საკომუნიკაციო გეგმაში დააკონკრეტებს მშობლებისთვის ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების აქტივობებს: - განსაზღვრავს მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრების სისტემას და პერიოდულობას და მოახდენს შეხვედრების დოკუმენტირებას 2. დაწესებულება შეიმუშავებს ბავშვთა შეფასების შედეგების მშობლებთან გაზიარების ინდივიდუალურ ფორმებს და გაწერს მათ პერიოდულობას მაგ: ბავშვის განვითარების პორტფოლიოს პრეზენტაცია, განვითარების ძლიერი და გასავითარებელი მხარეების ანალიზის გაცნობა“ , ვადად განსაზღვრულია პერიოდი 30.10.2025- 30.10.2026 .

შესაბამისად, ინდიკატორი ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად და ინდიკატორის მოთხოვნა - „არ შეესაბამება“ შეიცვალოს „მეტ-წილით“.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის ინსტიტუციის წარმომადგენლების განმარტებით, დაწესებულებას აქვს მჭიდრო ურთიერთობა თემთან.

აქტიურად მოხდება ბაღში ბავშვების მიერ მეორადი მოხმარების ნივთების გამოყენება, აღმზრდელები გამოიყენებენ სხვადასხვა აქტივობებს - მეორადი მოხმარების საგნების გამოყენებით კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობებს განახორციელებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისობის გეგმაში 3.1.ძალზედ ზოგადად წარმოდგენილი, საიდანაც სტანდარტის დაკმაყოფილება არ იკითხება , უნდა დაკონკრეტდეს და ჩაიშალოს შესაბამისი აქტივობები.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ თემში არსებული რესურსების გამოყენებისათვის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის შეიმუშაოს გეგმა.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

მოხეს საბავშვო ბაღის არგუმენტირებული პასუხის მიხედვით, დაწესებულება „ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმში, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ განსაზღვრავს, თემში არსებულ რა რესურსს გამოიყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. დოკუმენტში იდენტიფიცირებული იქნება თემში არსებული რესურსები: 1. ფიზიკური/ინფრასტრუქტურული რესურსები (მაგ: პარკები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, თეატრები, სპორტული მოედნები), ადამიანური რესურსები (მაგ: ადგილობრივი ხელოსნები, მხატვრები, მუსიკოსები, ფერმერები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები), ბუნებრივი რესურსები (მაგ: ტყეპარკები, მდინარეები, სოფლის მეურნეობის ობიექტები), კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები (მაგ: ისტორიული ძეგლები, ტრადიციული რეწვის ნიმუშები), საგანმანათლებლო რესურსები. დოკუმენტში გაიწერება თითოეული რესურსის გამოყენების შესაძლებლობები კურიკულუმის სხვადასხვა თემებისა და მიმართულებების ფარგლებში, თემატური აქტივობების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს თემში არსებული რესურსების გამოყენებით, დაწესებულება შეიმუშავებს თემში არსებული რესურსების რუკას, დაწესებულება უზრუნველყოფს თემში არსებული რესურსების გამოყენების დოკუმენტირებას. ხოლო შესამამისი აქტივობები ინტეგრირებული იქნება საკომუნიკაციო და სამოქმედო გეგმაში.

აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია პერიოდი 30.10.2025- 30.10.2026 .

შესაბამისად, ინდიკატორი ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად. და ინდიკატორის მოთხოვნა - „არ შეესაბამება“ შეიცვალოს „მეტ-წილით“

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მევეურთა თქმით, სკოლამდელი აღზრდის ინსტიტუციაში ფასდება ოჯახთან, თემთან განხორციელებული აქტივობები, მაგალითად მშობლის მონაწილეობისას საგანმანათლებლო პროცესში მხედველობაში მიიღება მისი ინიციატივებიც, ასევე თემის ჩართულობისას შესაძლებელია აქტივობებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მაგალითად, აღსაზრდელების ვიზიტი ბიბლიოთეკაში შესაძლებელია ჩანაცვლდეს სხვა აქტივობით.

შესაბამისად, განხორციელებულ აქტივობების ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება გარკვეული ცვლილებები. თუმცა ინსტიტუციას ეს აქტივობები არ აქვს დოკუმენტურად გაწერილი.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობების შესაფასებლად და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილების განხორციელებისათვის გაწეროს აქტივობები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

მოხეს საბავშვო ბაღის წარმოდგენის პასუხის მიხედვით, დაწესებულება „ოჯახთან,თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმში, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში" განსაზღვრავს, ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობების შეფასების მეთოდებს, ხოლო საკომუნიკაციო გეგმაში განსაზღვრავს მათი მათი გამოყენების პერიოდულობას. დაწესებულება მოახდენს, როგორც დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების და ცვლილებების დოკუმენტირებას, ასევე აწარმოებს შეფასების შედეგების სტატისტიკურ დამუშავებას და მათ გამოყენებას ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობების გეგმის მოდიფიცირებასა და დაგეგმვაში.....

აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია პერიოდი 30.10.2025- 30.10.2026 .

შესაბამისად, ინდიკატორი ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად და ინდიკატორის მოთხოვნა - „არ შეესაბამება“ შეიცვალოს „მეტ-წილით“.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ააიპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის #22 ბრძანება-პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის დანიშვნის შესახებ.
2. საბავშვო ბაღის მშობელთა კრების ოქმი. 21.10.24
3. ინტერვიუები

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, დასაქმების

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგენით მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

პოზიციებისა და შესასრულებელი ფუნქციების მითითებით, რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სტატუსის მამდიბლის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხაში გაწერილია შემდეგი პოზიციები: მენეჯერი, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მზარეული, მზარეულის თანაშემწე,, დამლაგებელი, მუსიკის მასწავლებელი, მეეზოვე-დარაჯი, ცეცხლფარეში, ექთანი. ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შრომის შინაგანაწესში, პერსონალის მართვის დოკუმენტში არ არის გაწერილი უფლებამოვალეობების გადანაწილების, შეთავსების საკითხები, არსებული დოკუმენტებიდან და ვიზიტის დროს გამოიკვეთა დაწესებულება არ ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს და ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, კერძოდ მოხის საბავშვო ბაღის საშტატო ნუსხაში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი სპეციალისტი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მეორე მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რაც თავის მხრივ არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ პერსონალის მართვის დოკუმენტში ან შინაგანაწესში უნდა განსაზღვროს და გაწეროს უფლებამოვალეობების გადანაწილება, პერსონალის არ ყოფნის შემთხვევაში შეთავსების საკითხები, და გაითვალისწინოს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში მომსახურების მიწოდება.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ :

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება პერსონალის მართვის დოკუმენტში და შინაგანაწესში განსაზღვრავს უფლებამოვალეობების გადანაწილების საკითხს, პერსონალის არ ყოფნის შემთხვევაში შეთავსების საკითხებს, და გაითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში მომსახურების მიწოდების საკითხს.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამისობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცებული 2025 წლის N11 ბრძანებით, ამ წესის დანართში N1 იკითხება პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობა. ასევე გაწერილ დოკუმენტში (პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი 2025 წლის ბრძანება N11) მითითებულია რომ დანარჩენი პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით. ხელშეკრულება ფორმდება ყოველი წლის დასაწყისში ერთი წლის ვადით, ხელშეკრულებაში გაწერილია სამუშაო საათები, ხელფასის ოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა

დაკმაყოფილებულია.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ იკითხება არსებულ დოკუმენტებში, ასევე ვიზიტის პერიოდში (01-02 ივლისი 2025წ)) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები. ვიზიტის დროს განხილული იქნა პერსონალის პირადი საქმეები : მენეჯერის, აღმზრდელის, ექთნის , შემოწმებული პირადი საქმეები შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის
დაკმაყოფილებული.....

რეკომენდაცია

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისი იქნება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, აღნიშნული მოთხოვნები უნდა გაიწეროს პერსონალის მართვის დოკუმენტში (მუხლი 9. დაწესებულების პერსონალის შერჩევა) ან შინაგანაწესში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ:

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება განსაზღვრავს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებიც შესაბამისი იქნება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, აღნიშნული მოთხოვნები გაიწერება პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (მუხლი 9. დაწესებულების პერსონალის შერჩევა)

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამისობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, თუმცა აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის დაწესებულება გეგმავს გადაამზადოს საგანმანათლებლო პერსონალი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით, რაც გაწერილია შესაბამისობის გეგმაში (აქტივობის განხორციელების პერიოდი 01.06.2025 -15.09.2025) აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის
დაკმაყოფილებული.....



რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უნდა გადაამზადოს საგანმანათლებლო პერსონალი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით შებამისობის გეგმით გაწერილ ვადებში.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება.....

4.1.2 დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (2025 წლის ბრძანება N11), ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შრომის შინაგანაწესი. პერსონალის მართვა ხორციელდება დადგენილი მარეგულირებელი დოკუმენტის, შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულებით. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი მოიცავს:

ადამიანური რესურსების დაგეგმვას, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას, შერჩევას, დანიშვნას და მართვას, პერსონალის შეფასებას, განვითარებას.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში და შინაგანაწესში განსაზღვრული საკითხები არ რეგულირდება ან არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს:

1. სტრუქტურული ერთეულების/ პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. საკადრო დოკუმენტაციის წარმოება: მივლინება, დასვენების დრო, შვებულება (ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო) საავადმყოფო ფურცელი, პირადი საქმეების წარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომითი ხელშეკრულებებში უნდა გაწეროს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, ასევე დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების გაცნობა და გაცნობის ფაქტის მტკიცებულების არსებობა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ : ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება პერსონალი მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომითი ხელშეკრულებებში გაწერს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებს, მათ შორის სტრუქტურული ერთეულების/ პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება: მივლინება, დასვენების დრო, შვებულება (ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო) საავადმყოფო ფურცელი, პირადი საქმეების წარმოება ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების გაცნობა და გაცნობის ფაქტის მტკიცებულების წარმოებას აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობებს



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება აღმზრდელთან, რომელშიც განსაზღვრულია სამუშაო საათები 09:00 დან- 18:00 სთ.-მდე , ხოლო მითითებულ სამუშაო საათებს შორის ერთი საათია არასაკონტაქტო. შრომით ხელშეკრულებაში არასაკონტაქტო საათების ფარგლებში არ არის განსაზღვრული განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ ხელშეკრულებაში უნდა განსაზღვროს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო დრო და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის ჩამონათვალი, ასევე დღის სამუშაო საათების ხანგრძლიობა, შესვენების დრო უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ : დაწესებულება ხელშეკრულებაში განსაზღვრავს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო დროს და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის ჩამონათვალს, ასევე დღის სამუშაო საათების ხანგრძლიობას, შესვენების დრო შეესაბამისობაში მოვა საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამისობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე შეფასება იცვლება და ფასდება მეტწილად.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით (2025 წლის ბრძანება N11) , პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს კადრების მოზიდვას და დასაქმებას, თუმცა დოკუმენტში არ არის მკაფიოდ გაწერილი კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი/თანამშრომელი , რაც თავის მხრივ პროცედურა კარგავს ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ ყველა პოზიციის მიხედვით უნდა შეიმუშაოს შერჩევის კრიტერიუმები, პერსონალის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ობიექტური, აქედან გამომდინარე დაწესებულებამ დოკუმენტში უნდა გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

